ALEXANDRU IOAN CUZA UNIVERSITY of IAŞI

Erasmus+

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის Erasmus+ გაცვლითი პროგრამა
იასის ალექსანდრუ იოან კუზას უნივერსიტეტში, რუმინეთი

2015 წლის გაზაფხულის სემესტრისთვის

საბუთების წარდგენის ბოლო ვადა: 20 ოქტომბერი, 2015

გამოცხადდა კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტების, ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობისთვის იასის ალექსანდრუ იოან კუზას უნივერსიტეტში, რუმინეთი.

კონკურსი ცხადდება შემდეგ მობილობებზე:

აკადემიური საფეხური	მობილობის ხანგრძლივობა	აკადემიური მიმართულება[1]
ბაკალავრიატი	5 თვე	Education 011 Religion and theology 0221 History and archaeology 0222 Philosophy and ethics 0223 Languages 023 Social and behavioural sciences 031 Journalism and reporting 0321 Business and administration 041 Law 042 Biological and related sciences 051 Environment 052 Physical sciences 053 Mathematics and statistics 054 Information and Communication Technologies (ICTs) 061 Engineering and engineering trades 071 Travel, tourism and leisure 1015
მაგისტრატურა	5 თვე	
დოქტორანტურა	3-5 თვე	
აკადემიური პერსონალი (სწავლების მიზნით)	7 დღე	
ადმინისტრაციული პერსონალი (ტრენინგის მიზნით)	7 დღე	ნებისმიერი

მობილობის დაწყების თარიღი:

- 2016 წლის იანვარი/თებერვალი

[1] აკადემიური მიმართულებებისა და კოდების განმარტებისთვის იხილეთ:
http://www.uis.unesco.org/Education/Documents/isced-fields-of-education-training-2013.pdf

სტიპენდიის რაოდენობა:

- საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუდენტებისთვის - 750 ევრო თვეში (5 თვეზე 3750 ევრო)
- უნივერსიტეტის პერსონალისთვის - 140 ევრო დღეში (7 დღეზე 980 ევრო)

კონკურსში მონაწილეობის წინაპირობები:

- **სტუდენტები** კონკურსის მიმდინარეობისას უნდა ირიცხებოდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შესაბამის საფეხურზე.

  მნიშვნელოვანია!
  კანდიდატებმა განაცხადი უნდა შეიტანონ იმ საფეხურის მობილობაზე, რომელზეც კონკურსის მიმდინარეობისას ირიცხებიან. მაგალითად, ბაკალავრიატის სტუდენტს არ აქვს მაგისტრატურის საფეხურის მობილობაზე განაცხადის შემოტანის უფლება.

  კონკურსში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ:
  - *პირველი და დამამთავრებელი კურსის ბაკალავრებს*
  - *მეორე კურსის მაგისტრანტებს*
  - *მათ, ვისაც ბოლო 5 წლის განმავლობაში 12 თვეზე მეტი აქვთ გატარებული ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში*
  - *მათ, ვისაც უკვე მიღებული აქვთ ერაზმუს მუნდუსის გრანტი ანალოგიურ საფეხურზე*

- **აკადემიური პერსონალი** უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორი.

- **ადმინისტრაციული პერსონალი** უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შტატიანი თანამშრომელი.

სააპლიკაციო დოკუმენტები:

	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	დოქტორანტურა	პერსონალი
პირადობის მოწმობის / პასპორტის ასლი	√	√	√	√
EUROPASS CV (ინგლისურ ენაზე)	√	√	√	√
სასწავლო ხელშეკრულება	√	√	√	
ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (ინგლისურ ენაზე)	√	√	√	
ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი/ცნობა[2]	√	√	√	
მოტივაციის წერილი (ინგლისურ ენაზე)	√	√	√	
ნიშნების ფურცელი (ინგლისურ ენაზე)	√	√		
ბოლოს მიღებული უმაღლესი განათლების საფეხურის დიპლომი დანართითურთ		√	√	
ცნობა უნივერსიტეტში დასაქმების შესახებ				√

[2] სტუდენტებისთვის მოითხოვება B1 დონე, პერსონალისთვის - B2 დონე. TOEFL ან IELTS ცნობა სავალდებულო არ არის, თუმცა სერტიფიკატის მქონე კანდიდატებს შესაძლოა მიენიჭოთ უპირატესობა. თუ კანდიდატს მიღებული აქვს წინა განათლება ინგლისურენოვან პროგრამაზე, სერტიფიკატი/ცნობა აღარ მოითხოვება.

განაცხადების მიღება:

სააპლიკაციო განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **2015 წლის 20 ოქტომბერი.**

განაცხადების მიღება ხორციელდება ელექტრონულად შემდეგ ვებ-გვერდზე: **https://erasmusplus.uaic.ro/**

შერჩევის პროცედურა:

1. სააპლიკაციო დოკუმენტების განხილვა - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
2. აკადემიური შესაბამისობის დადგენა - იასის ალექსანდრუ იოან კუზას უნივერსიტეტი
3. რატიფიკაცია კომისიის მიერ და კანდიდატთა წარდგენა სტიპენდიაზე - იასის ალექსანდრუ იოან კუზას უნივერსიტეტი
4. წინასწარი შედეგების გამოცხადება - იასის ალექსანდრუ იოან კუზას უნივერსიტეტი
5. საბოლოო შერჩევა - იასის ალექსანდრუ იოან კუზას უნივერსიტეტი

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://erasmusplus.uaic.ro/selection-criteria

საბოლოო შერჩევის შემდეგ წარმატებული კანდიდატები:

მიიღებენ **მოწვევის წერილს** იასის ალექსანდრუ იოან კუზას უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტისგან. აღნიშნული დეპარტამენტი დაეხმარება ბენეფიციარებს სავიზო პროცედურებისა და მობილობისთვის მომზადების პროცესში.

დეტალური ინფორმაცია იასის ალექსანდრუ იოან კუზას უნივერსიტეტში მობილობის შესახებ, ასევე სააპლიკაციო ფორმა, იხილეთ ბმულზე: https://erasmusplus.uaic.ro

დამატებითი შეკითხვებით მიმართეთ:

იასის ალექსანდრუ იოან კუზას უნივერსიტეტის
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს
erasmusplus@uaic.ro

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საგარეო ურთიერთობების სამსახურს
erasmusplus@iliauni.edu.ge